



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა
ინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის კოდი: 27 06 04

განმახორციელებელი უწყება: სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2022 წელი

სარჩევი

შესავალი	3
1. პროგრამის დასაბუთება	4
2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი	5
3. პროგრამის მიზანი	5
4. პროგრამის შედეგი	6
5. პროგრამის აღწერა	7
6. პროგრამაში მონაწილეობა	9
7. პროგრამის გავრცელების არეალი	10
8. პროგრამის ხანგრძლივობა	10
9. პროგრამის ბიუჯეტი	10

შესავალი

საქართველოს მთავრობისა და სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა. ეს უკანასკნელი ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა თვითდამკვიდრებისთვის.

ინტეგრაციის ხელშეწყობა მიჩნეულია ყველაზე ეფექტურ საშუალებად სახელმწიფოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა გარანტიების უზრუნველსაყოფად და მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. პლურალისტურ საზოგადოებაში ინტეგრაცია წარმოადგენს სოციალური ერთიანობის მიღწევის ძირითად საშუალებას, სადაც ურთიერთპატივისცემა და სოციალური მრავალფეროვნების წახალისება ეფუძნება დემოკრატიულ და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ მიდგომებს. აღსანიშნავია, რომ ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია, რომელშიც თანაბრად მონაწილეობს როგორც სახელმწიფო, ისე საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი უცხოელი. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მათი ყველაზე მოწყვლადი კატეგორია - საერთაშორისო დაცვის მქონე პირები, რომელთა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. თავის მხრივ, სტატუსის მქონე პირები კი მოვალენი არიან დაიცვან მასპინძელი ქვეყნის საერთო ღირებულებები და პატივისცემით მოეკიდონ მას.

საქართველოს მიერ მიღებული შიდა საკანონმდებლო აქტებით თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულია საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა, განსაკუთრებით, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის, მათი მიმღებ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ხშირ შემთხვევაში უცხოელები ხვდებიან წინააღმდეგობებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისას; მათ, გარკვეულწილად, შეზღუდული აქვთ ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო სისტემასა თუ შრომით ბაზარზე, ამიტომაც არის საჭირო ეფექტური ღონისძიებების გატარება ინტეგრაციის პროცესის სტანდარტების ასამაღლებლად.

საქართველოში კანონიერი საფუძვლით მცხოვრები უცხოელების ინტეგრაციის მიზნით, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და კანონმდებლობის შესაბამისად და სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამების საფუძველზე, ახორციელებს „საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა სახელმწიფო ინტეგრაციის პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა).

1. პროგრამის დასაბუთება

სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისა და საქართველოში კანონიერი საფუძვლით მცხოვრები უცხოელების, განსაკუთრებით, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებები და თავისუფლებები აღიარებულია როგორც შიდა სახელმწიფოებრივი აქტებით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში საერთაშორისო დაცვით სარგებლობს 1227 პირი. შესაბამისად, ქვეყნის დღის წესრიგში დგას მათი ინტეგრაციის საკითხი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ასევე თავშესაფრის მაძიებელთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და ზოგადად, კანონიერად მყოფ უცხოელთა რაოდენობაც. შესაბამისად, ინტეგრაციის სისტემის ფორმირებაზე ზრუნვა წარმოადგენს ახალ გამოწვევას და აქტუალურია.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა საკითხის გრძელვადიანი გადაწყვეტის ერთ-ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს ადგილობრივი ინტეგრაცია. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) შეიმუშავებს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამებს და ხელს უწყობს ამ პროგრამებში შესაბამისი სამიზნე ჯგუფის ჩართვას.

მიგრაციის პოლიტიკის დახვეწა და მექანიზმის განვითარება საქართველოს მიგრაციის 2021-2030 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ამ სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი სამინისტროს მიერ ამ სფეროში განსახორციელებელი აქტივობები.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთათვის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის გარანტირებულია სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია, რადგან მათ აქვთ წვდომა ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სხვა სერვისებზე, თუმცა აღნიშნული პროგრამები ვერ უზრუნველყოფენ საქართველოში კანონიერი საფუძვლით მცხოვრები ყველა უცხოელის ინტეგრაციის შესაძლებლობას.

2020 წლიდან მოყოლებული, პანდემიის გამო, ინტეგრაციის ცენტრის მიერ ადმინისტრირებული კურსები მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში. ასევე გაუარესდა ბენეფიციართა ეკონომიკური მდგომარეობა, ვინაიდან მათი ნაწილი დასაქმებული იყო ტურიზმისა და მომსახურების სფეროებში. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ინტეგრაციის ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ კურსებში ბენეფიციარების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით საპილოტე რეჟიმში მოხდეს მათთვის ინტერნეტის საფასურის ანაზღაურება 2022 წლის ბოლომდე, თუ სწავლება კვლავ დისტანციურ რეჟიმში გაგრძელდება.

2. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში მცხოვრები შემდეგი პირები:

- საერთაშორისო დაცვის მქონე პირები;
- საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები;
- თავშესაფრის მაძიებლები;
- საქართველოში კანონიერი საფუძვლით მცხოვრები უცხოელები .

3. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლების, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისა და საქართველოში კანონიერი საფუძვლით მცხოვრები უცხოელების ინტეგრაციისთვის ისეთი სერვისების შექმნა და განვითარება, რომლებიც ზემოაღნიშნულ პირებს დაეხმარება საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში. დასახული მიზნის მისაღწევად უპირველესია მათთვის ქართული ენის სწავლების შეთავაზება, რაც უმნიშვნელოვანესია მათთვის როგორც საზოგადოებასთან ყოველდღიური ურთიერთობის, ასევე სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის, განათლების მიღებისა თუ დასაქმების პროცესში. ასევე, მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ორიენტაციისა თუ სამოქალაქო განათლების კუთხით მათი ინფორმირება, სახელმწიფო სერვისების, საბანკო სისტემის, ჯანდაცვის, განათლების მიღებისა და დასაქმების საკითხებზე კონსულტაციების გაწევას.

პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მაქსიმალურად გაამარტივოს საერთაშორისო დაცვის მქონე პირების და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირების წვდომა სხვადასხვა სახელმწიფო სერვისზე, როგორცაა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, დასაქმებისა თუ მოქალაქეობის მინიჭების (კანონმდებლობის შესაბამისად) პროცედურები.

წინამდებარე პროგრამის განხორციელების შედეგად, არსებული სამართლებრივი ბაზით ჩამოყალიბებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებთან ერთად, ბენეფიციართათვის შეიქმნება ინტეგრაციის ხელშემწყობი დამატებითი მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს ახალ გარემოში მათ დამკვიდრებას.

4. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგები აისახება ისეთ კონკრეტულ მაჩვენებლებში, როგორცაა, მაგალითად, სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურსების მსმენელთა რაოდენობა, რომლებსაც სასწავლო კურსის გავლის შემდეგ ეცოდინებათ ქართული ენა, რაც გაამარტივებს ადგილობრივ მოსახლეობასთან მათ კომუნიკაციას.

ზოგადი სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით, ბენეფიციარები გაეცნობიან ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ძირითად ტრადიციებსა და ადათ-წესებს, რომლებიც წარმოდგენას შეუქმნის მათ საქართველოს შესახებ და ხელს შეუწყობს დამხვდურ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის პროცესს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კანონიერი საფუძვლით მცხოვრებ უცხოელთა ნაწილი დასაქმებული იყო ტურიზმის სფეროში და კორონავირუსის პანდემია მათ სამუშაო ადგილებზე, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, უარყოფითად აისახა.¹ მნიშვნელოვანია, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე, საერთაშორისო დაცვის მქონე პირების 59.3% შეუფერხებლად იღებდა სამედიცინო სერვისებს, ხოლო კორონავირუსის პანდემიის პირობებში აღნიშნული რიცხვი შემცირდა 25.9%-მდე.² ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო მიმართულებით არსებობს გადაუდებელი და ქრონიკული დაავადებების მკურნალობის საჭიროება, რომელსაც არ ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა.

სამოქალაქო განათლების მიმართულების ფარგლებში, საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს, მათი სტატუსიდან გამომდინარე, ეცოდინებათ თავიანთი უფლება-მოვალეობები და ქვეყნის კანონმდებლობის ის საკითხები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მათი ყოველდღიური ცხოვრების, განათლების მიღების, ეკონომიკური აქტივობისა თუ სხვა პროცესებში. პროგრამის შედეგად ბენეფიციარებს გაეწევათ კონსულტაცია იმ სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის შესახებ, რომლებიც მათთვის შეთავაზებული იქნება სახელმწიფოს მიერ.

საქართველოში უცხოელთა ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამაში ჩაერთვება მინიმუმ 250 ბენეფიციარი.

¹ სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტის კვლევა - „Assessing the Socio-Economic Impact of COVID-19 on asylum seekers, persons granted international protection and stateless persons (PoC's)“

² სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტის კვლევა - „Assessing the Socio-Economic Impact of COVID-19 on asylum seekers, persons granted international protection and stateless persons (PoC's)“

5. პროგრამის აღწერა

პროგრამის ბიუჯეტის გათვალისწინებით, პროექტის სამიზნე ბენეფიციარები, რომლებიც მომართავენ სააგენტოს ან დარეგისტრირდებიან სააგენტოში, მიიღებენ ინტეგრაციის დახმარების სერვისებს შემდეგი მიმართულებებით:

1) ქართული ენის შესწავლაში ხელშეწყობა

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის ქართული ენის სწავლებას ახორციელებს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მასწავლებლის მეშვეობით. ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ ქართული ენის შესწავლის შემდეგი საფეხურები: A1, A2, B1, B2.

2) სამოქალაქო განათლების კურსი

სამოქალაქო განათლების კურსის მიზანია საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობასთან, სახელმწიფო სერვისებთან, საბანკო სისტემასთან, ჯანდაცვასთან, განათლებასთან, დასაქმებასა და ა. შ. საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასევე, სასწავლო კურსის თემატიკა ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლებას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ახალ საცხოვრებელ გარემოსა და საზოგადოებრივ აქტივობასთან.

3) სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსი

სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსის სასწავლო მოდული არის შემეცნებითი ხასიათის და მოიცავს ინფორმაციას საქართველოს ისტორიის, კულტურის, ძირითადი ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ. აღნიშნული კურსის შემუშავებისას გათვალისწინებულია საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა კულტურული და სოციალური თავისებურებანი.

4) საკონსულტაციო სერვისი და რეფერირება

საკონსულტაციო სერვისის და რეფერირების მექანიზმის ჩამოყალიბების მიზანია საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი უცხოელებისთვის თავიანთი უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება,

მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და ამის გათვალისწინებით, მათი უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა.

საკონსულტაციო სერვისისა და რეფერირების საშუალებით ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ, მაქსიმალურად მცირე დროში, მიიღონ საჭირო ინფორმაცია და გაეწიონ დახმარება სხვადასხვა სახელმწიფო სერვისით სარგებლობის პროცესში, მათ შორის, შემდეგი მიმართულებებით: განათლება (სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი), ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, დასაქმება, ნატურალიზაცია და ყველა სხვა საკითხი, რომლის შესახებ ინფორმაციის მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოში კანონიერი საფუძვლით მცხოვრები უცხოელების საქართველოში ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესში.

5) სამედიცინო დახმარება ან/და მედიკამენტების დაფინანსება

გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთათვის მოხდება შემდეგი სერვისების გაწევა:

- ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო ჯანდაცვის მოქმედი პროგრამების შესახებ და დახმარების გაწევა აღნიშნულ პროგრამებში მათი ჩართვის მიზნით;
- მწვავე, ქრონიკული ან/და სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირების საჭირო სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა, მათ შორის, მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებით;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

ერთი ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხა არ უნდა იყოს 50 (ორმოცდაათი) ლარზე ნაკლები და ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 1 000 (ერთი ათასი) ლარს. დაფინანსებას ვერ მიიღებს ბენეფიციარი, რომელსაც 2021 წელს ამოწურული აქვს 1000 (ერთი ათასი) ლარის ლიმიტი. ასევე, მედიკამენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთი) ერთეულს. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება შეიძლება მოხდეს წელიწადში არაუმეტეს 3-ჯერ. იმ მედიკამენტების დაფინანსება, რომლებიც ბენეფიციარს ესაჭიროება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მოხდება კვარტალურად.

სამედიცინო დახმარებისა ან/და მედიკამენტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია. პანდემიის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია კომისიის სხდომები ჩატარდეს დისტანციურად და კომისიის წევრებმა პოზიცია დააფიქსირონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. თუ არსებული ბიუჯეტი არ არის საკმარისი კომისიის მიერ შერჩეული ბენეფიციარების სრულად დასაფინანსებლად, 1000 (ერთი ათასი) ლარის ფარგლებში, მაშინ მათი დაფინანსება მოხდება არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, მოთხოვნილ დაფინანსების თანხის პროპორციულად გადანაწილებით.

სამედიცინო დაფინანსების მისაღებად საჭიროა სამედიცინო დოკუმენტაციის (ფორმა №IV-100/ა, ინვოისი და სხვა) წარმოდგენა.

6) ინტერნეტის საფასურის ანაზღაურება

ინტეგრაციის ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ კურსებში (ქართული ენის, სამოქალაქო განათლებისა და სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსები) ბენეფიციართა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით საპილოტე რეჟიმში გაგრძელდება მათთვის ინტერნეტის საფასურის ანაზღაურება, სანამ კურსები ჩატარდება დისტანციურ რეჟიმში. თითოეულ ბენეფიციარზე გამოყოფილია მაქსიმუმ 30 (ოცდაათი) ლარი თვეში. იმ შემთხვევაში თუ ერთი ოჯახის რამდენიმე წევრი ესწრება კურსებს, ოჯახი თვეში მიიღებს მხოლოდ 30 (ოცდაათი) ლარის დაფინანსებას. ინტერნეტის საფასურის ასანაზღაურებლად განკუთვნილი ბიუჯეტის არასაკმარისობის შემთხვევაში, კერძოდ, თუ ვერ ხერხდება 30 (ოცდაათი) ლარით თითოეული ბენეფიციარის უზრუნველყოფა ინტერნეტის საფასურით, მოხდება თითოეული ბენეფიციარისთვის ასანაზღაურებელი თანხის თანაბრად შემცირება.

ინტერნეტის საფასურის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

ინტერნეტის საფასური არ აუნაზღაურდება ბენეფიციარს მის მიერ საკურსო ლექციების 25%-ზე მეტის არასაკმარისობის მიზეზით გაცდენის შემთხვევაში.

6. პროგრამაში მონაწილეობა

პროგრამაში მონაწილეობისთვის (გარდა საკონსულტაციო სერვისის მიღებისა), საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფმა დაინტერესებულმა უცხოელმა, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირმა, თავშესაფრის მაძიებელმა ან სტატუსის მქონე მოქალაქეობის სტატუსის არმქონე პირმა უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული რეგისტრაციის ფორმა (**დანართი N1**) და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს სააგენტოში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა ან შევსებული და დასკანერებული სახით გამოაგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: info@idp.gov.ge.

სრულყოფილად შევსებული რეგისტრაციის ფორმისა და თანამდევი დოკუმენტაციის ჩაბარება შესაძლებელია სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებშიც, შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;

2. ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5ა;
3. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27;
4. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106.

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტის ასლი.

7. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

8. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ხორციელდება 2022 წელს.

9. პროგრამის ბიუჯეტი

დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან. პროგრამის წლიური ბიუჯეტი შეადგენს 85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარს, საიდანაც სამედიცინო კომპონენტების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარი, ხოლო ინტერნეტის საფასურის ასანაზღაურებლად - 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარი.